სოციალური ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულყოფა

თამარ ქაჯაია
სტუ-ს დოქტორანტი

ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების უმნიშვნელოვანეს პრობლემას. იგი უკავშირდებოდა სამართლისა და სახელმწიფოს პრობლემებს. ჯერ კიდევ სოკრატე სამართლიანობის საწყისად მიიჩნევდა კარგად მოწყობილ სახელმწიფოს, რომელშიც შეიძლებოდა სამართლიანობის პოვნა.

ადამიანები ერთიანდებიან საზოგადოებად, იმისათვის, რათა დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებები. ცალკეულ ადამიანს არ შეუძლია მოიპოვოს ყველაფერი ის, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. ამისთვის აუცილებელია სხვათა დახმარება. ამიტომ პირველი, რაც სახელმწიფოში უნდა იყოს, არის ადამიანთა ის რაოდენობა, რომელთა ერთიანი ძალისხმევა შეძლებს თითოეულის ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ესენი არიან მიწათმოქმედნი, ხელოსნები, ვაჭრები და სხვა. მათ შორის უნდა იყოს შრომის განაწილება, რადგან თითოეული იბადება განსაზღვრული უნარით და აკეთებს იმას, რაც მას უკეთესად ეხერხება. ამ საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს სამართლიანობა. სამართლიანობა ვიწრო გაგებით, ეხება მხოლოდ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანების ურთიერთობებს სიმდიდრის შეძენის საქმეში, სიმდიდრეს კი იძენენ არათანაბრად, მაგრამ თითოეულმა ისე ზომიერი უნდა გახადოს თავისი უპირატესობა (ქონება, პრესტიჟი და აშ.), რომ სხვებმა შეძლონ შეინარჩუნონ ის, რაც მათ სჭირდებათ.

საზოგადოება დაყოფილია ფენებად, თითოეულ ფენას თავისი ინტერესი აქვს, რომელიც შეიძლება ერთმანეთს ემთხვეოდეს ან უპირისპირდებოდეს. მიუხედევად ამისა, საზოგადოებრივი ცხოვრება და შესაბამისად განვითარების პროცესი ერთ სივრცეში მიმდინარეობს. განსხვავებული ინტერესების ერთობლიობათა კონკრეტული ფორმებიც მრავალფეროვანია და ამიტომაც აუცილებელია სოციალურ ფენებს შორის ურთიერთობების რეგულირება, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო თავისი სოციალური პოლიტიკით.

საზოგადოებრივი წყობილება მაშინაა კარგი, როცა მმართველობა თანხმობაშია მართულთა სარგებლიანობასთან. მმართველობამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ურთიერთობები საზოგადოების ყველა ფენას შორის. მართავს პირადი სარგებლობისათვის მოსდევს დაცემა, სახელმწიფოს გადაგვარება.

კაცობრიობამ გავლო სახელმწიფოს მოწყობის მრავალი დონე, რომელთაც ცალ-ცალკე არ განვიხილავთ, შევეხებით თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე მეტად აღიარებულ, სახელმწიფოს მართვის დემოკრატიულ ფორმას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული ფორმა უალტერნატივოა, მაინც არსებობს სხვადასხვა შეხედულება, რომელიც გამოიხატება არა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობაში, არამედ იმაში, თუ როგორ უნდა იყოს მისი მასშტაბები, ფორმები, მეთოდები.

XVI-XVIII საუკუნეებში (მერკანტილისტები) თვლიდნენ, რომ სახელმწიფო მართვა არის ის საშუალება, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დაცვა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის ერთერთმა ფუძემდებელმა ადამ სმიტმა განსაზღვრა ეკონომიკის ლიბერალიზაციის ძირითადი პრინციპები. მისი აზრით, საბაზრო ძალები ("უხილავი ხელი") თამაშში ქმნის ჰარმონიულ წყობას. ადამ სმიტის კონცეფცია ეყრდნობა: კერძო საკუთრებას, როგორც დაინტერესების ამოსავალ პირობას; თავისუფალ კონკურენციას, როგორც ადამიანის ინტერესების რეალიზაციის აუცილებელ პირობას; და სახლემწიფოს, რომელიც დაიცავს აღნიშნულ პირობას.

მე-19 საუკუნეში განხორციელებული უდიდესი გარდაქმნების შედეგად დიდად განვითარდა თავისუფალი მეწარმეობა და გაძლიერდა კონკურენცია. ამავდროულად კი სახელმწიფოს როლი ადამ სმიტის ტრადიციული სისტემით განისაზღვრა, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა. ბურჟუაზიის გამარჯვების შემდეგ არსებითად შეიცვალა როლიც. სახლემ-

წიფო იძულებით ჩაერია ეკონომიკურ პროცესებში, გამწვავდა ბრძოლა მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდერებისათვის, რამაც სტიმული მისცა სახელმწიფოს როლის გაძლიერებას. იგი იძულებული გახდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ინფრასტრუქტურის თავდაცვითი მრეწველობის ჩამოყალიბებაში, ფულის მიმოქცევის რეგულირებაში და სხვა. სახელმწიფოს აქტიური ჩარევა აუცილებელი გახდა კრიზისებისა და დეპრესიების დროს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში მიმზიდველ თეორიად ჩამოყალიბდა სოციალური იდეები, განსაკუთრებით კი მარქსიზმი. მარქსისტულმა თეორიამ რადიკალიურად დასვა საკითხი მთელი ეკონომიკის განზოგადების, კერძო საკუთრების მოსპობის, ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის აუცილებლობის შესახებ.

მარქსისზმის მიხედვით ეკონომიკის განვითარების პრინციპი "წავიდეს ისე, როგორც მიდის" "უხილავი ხელი" იცვლება სრულიად ახლით: "წავიდეს ისე, როგორც ამას განსაზღვრავს "ხილული ხელი", ანუ სახელმწიფო.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საყოველთაო კრიზისმა ეჭვქვეშ დააყენა ა. სმიტის თეორია, ასპარეზზე გამოდის ჯონ მეინარ კეინზის შეხედულებები, რომელთა მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალიზმი დაავადებულია და თვითრეგულირების შესაძლებლობა ამოწურა და რომ აუცილებელია რთული საზოგადოებრივი პროცესების სახელმწიფოს მიერ რეგულირება. კეინზმა საბაზრო ურთიერთობებში შეიყვანა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება, აღიარა ეკონომიკის სახელმწიფებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეხამების აუცილებლობა. ჯ.კეინზის მიხედვით ეკონომიკური განვითარება ხორციელდება შემდეგი სქემით: კერძო საკუთრება-მოტივაცია (ინდივიდის მისწრაფება მეტი სარგებლობისკენ) – კონკურენცია – ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების შეხამება–"ხილული ხელი" და "უხილავი ხელის" თანაარსებობა.[1]

ამჟამად, გამოკვეთილია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს განპირობებული იყო როგორც ცენტრალიზებულად მართული სოციალისტური ეკონომიკის ფუნქციონირებით, ისე იმითაც, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში გართულდა პროცესები და მრავალფეროვანი გახდა კავშირები, გაიზარდა განვითარების მასშტაბები, წინა პლანზე წამოიწია სოციალური პრობლემები.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფოსგან განუყოფელია, მეცნიერებაში ამ პრობლემის მიმართ არსებობს განსხვავებული პოზიციები. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება აუცილებელია. მეორენი ამტკიცებენ იმას, რომ სახელმწიფოს როლის გაძლიერება ბიუროკრატიის ანგარებითი ინტერესების სტიმულირებას იწვევს, რაც ეკონომიკის დამამუხრუჭებელი ფაქტორია და ისინი მოითხოვენ ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლის შესუსტებას. მიუხედავად ასეთი განსხვავებული მიდგომისა, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება გვევლინება.[2]

თანამედროვე ეტაპზე (პირობებში) მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში ძირითად მიზნად აღიარებულია სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფო იღებს თვისობრივად ახალ ფუნქციას სოციალური სფეროს ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, გარემოს დაცვა და ა.შ.

ცივილიზებული საზოგადოება მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების, კლასების ინტერესებს კი არ გამოხატავს, არამედ იგი მუდმივად იღწვის პოლიტიკური სტაბილურობის, სიღარიბის დაძლევის, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, რადგან ამის გარეშე სხვადასხვა ინტერესთა დაპირისპირების შერბილება შეუძლებელია. ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა დაბალანსებული, ეფექტიანი, ერთიან სამართლებლივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ საფუძველზე ჩამოყალიბებული სისტემაა. როგორც კი ამ სისტემის რომელიმე ელემენტი უწესრიგოდ ამუშავდება სახელმწიფო მაშინვე ერევა პროცესების რეგულირებაში. ამდენად, სახელმწიფო, ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედებისას, მიზნად ისახავს მყარ ეკონომიკურ ზრდას, ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, მოსახლეობის შემოსავლების მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოფას, მოსახლეობის სოციალური სისტე-

[1] ნოდარ ჭითანავა, ლარისა თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება, I ნაწილი თბ. 2008წ. გვ. 81.

[2] Государственное регулирование риночной экономики учебник Под. Ред. Проф. Кушлина В.И, Проф. Волгина Н.Л. М.2001. стр. 34.

მის შექმნას, საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში წონასწორობის აღდგენას.

ცნობილია, რომ აშშ-ში 1933 წლიდან სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში პირველად გამოიყენეს სახელმწიფოსა და საბაზრო მექანიზმების შეხამების მეთოდი. შემდგომში იგი დაიხვეწა, მოქნილი გახდა. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში შემუშავდა განვითარების პრიორიტეტი "სრული დასაქმება და ეკონომიკის დაბალანსებული ზრდა". ამ პრიორიტეტისთვის პასუხისმგებლობა კონგრესმა სახელმწიფო ადმინისტრაციას-მთავრობას დააკისრა. აშშ-ს კონგრესის ამგვარი პოზიცია ეკონომიკის განვითარებაში ნიშნავს მთავრობის როლისა და მნიშვნელობის ზრდის დადასტურებას. საკამათო არ არის, რომ მომავალში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი უფრო გაიზრდება. გარდა "ტრადიციული პროცესებისა", მას ხელს შეუწყობს ისეთი მოვლენები, როგორიცაა მსოფლიოში ენერგეტიკული, სავალუტო, ეკოლოგური კრიზისები, სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა, მათი მზარდი ხასიათი, წარმოების ავტომატიზაციის ფართოდ განვითარება, რაც ბუნებრივია, ზრდის შრომის მწარმოებლურობას, მაგრამ იწვევს უმუშევრობას, კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის მაღალი ტემპის გარდუვალობა, დიდი ქალაქების სოციალური პრობლემები, მზარდი წინააღმდეგობები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, სიღატაკის პრობლემები და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება, თანამედროვე პირობებში და მომავალშიც საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ნაწილად მივიჩნიოთ. ამიტომაც საზოგადოების განვითარების პროცესებზე ზემოქმედების სისტემაც სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებისა და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად უნდა ყალიბდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნოდარ ჭითანავა, ლარისა თაკალანძე, სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება, I ნაწილი თბ. 2008 წ.

2. Государственное регулирование риночной экономики учебник Под. Ред. Проф. Кушлина В.И, Проф. Волгина Н.Л. М.2001.

3. რევაზ კაკულია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბილისი 2003 წ.

IMPROVEMENT OF STATE REGULATION OF SOCIAL ECONOMY

TAMAR QAJAIA - PhD student of GTU

In this article are discussion very important problem, wich is interrelation of economics and society from justice side. The justices are closely connected with human behaviour, wich formed during the evolution process. In the society are different stratums and they have various interests. In order to avoid unstable, it is important to regulate different stratums interest combination. In this work the author consider, that it is possible to provide designated in well arranged government. The author share the idea, that democratic form to govern the state is without alternative, but she think, that this one isn't improved.